განკარგულება:**g-31. 31223563**
თარიღი:**22/12/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №66

2022 წლის 22 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით განსაზღვრული ვადის შემცირება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. ფოთში ნაგვის ყოფილ ნაგავსაყრელზე ქუჩაზე მდებარე ობიექტი ადგილსამყოფელი ფოთის ნიკ მდებარე ობიექტი ფოთის ეროვნული ბანკი